# ბაკურიანის მუნიციპალური მომსახურების პროექტი

| | |
|---|---|
| ქვეყანა: | საქართველო |
| პროექტის ნომერი: | 51438 |
| ბიზნეს სექტორი: | მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა |
| შეტყობინების ტიპი: | სახელმწიფო |
| გარემოს დაცვის კატეგორია: | ბ |
| საბჭოზე დამტკიცების სავარაუდო თარიღი: | 2020 წლის 8 ივლისი |
| სტატუსი: | კონცეფცია დამტკიცებულია, მიმდინარეობს საბოლოო განხილვის პროცესი |
| PSD გამოქვეყნებულია: | 2019 წლის 14 ოქტომბერს |

## პროექტის აღწერა

საქართველოს გამოეყოფა 5 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტი, რომელიც მოხმარდება ბაკურიანის სპეციალიზებული მანქანებისა და დანადგარების პარკის გაფართოებას, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალური მომსახურების ხარისხს. კრედიტის სახსრებით ასევე დაფინანსდება დაახლოებით 10 ავტობუსის შეძენა.

## პროექტის მიზნები

განსახილველი ინვესტიცია ხელს შეუწყობს ბაკურიანში მუნიციპალური მომსახურების ხარისხის და უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესებას. პროექტი ითვალისწინებს როგორც მგზავრთა ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი თანამედროვე ავტობუსების, ასევე მყარი ნარჩენების მართვისა და სპეციალიზებული მუნიციპალური სამუშაოებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას.

## გარდაქმნის ეფექტი

ETI 63

აღნიშნული პროექტი მიმართულია გარდაქმნის ეფექტის „მართული“ და „ინკლუზიური“ მიზნების მიღწევაზე მოცემულ სექტორში რეფორმების მხარდაჭერისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. გარდა ამისა, პროგრამა ხელს შეუწყობს ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებას ტრენინგების ჩატარების მეშვეობით.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს მთავრობა

საქართველო წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ.

## EBRD-ის დაფინანსება

5,000,000.00 ევრო
5 მილიონი ევროს ოდენობის სესხი საქართველოსთვის.

## პროექტის ჯამური ღირებულება

5,000,000.00 ევრო
პროექტის ჯამური ღირებულება 5 მილიონ ევროს შეადგენს.

პროექტის მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად პროექტი ასევე ისარგებლებს ტექნიკური თანამშრომლობის დავალებებით

## გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მოკლე შეჯამება

მინიჭებული აქვს B კატეგორია 2014 წლის EPS-ის მიხედვით.

ევრო 5 დიზელის ავტობუსებისა და სპეციალიზებული მუნიციპალური მომსახურების აღჭურვილობის შეძენა განსაკუთრებულ სარგებლობას მოიტანს გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით (E&S). გარემოსდაცვითი და სოციალური ("E&S") რისკები ადგილმდებარეობისათვის სპეციფიკური იქნება და შემცირდება მართვის კარგი პრაქტიკის მეშვეობით. პროექტი ხელს შეუწყობს ურბანული ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის, მობილობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას მომხმარებელთა ყველა ჯგუფისათვის, ასევე გააუმჯობესებს მყარი ნარჩენების მართვასა და ჰაერის ხარისხს ქალაქში. პროექტი ითვალისწინებს ზაკურიანის მუნიციპალური კომპანიის დაფუძნებას, რომელმაც უნდა დანერგოს ეკოლოგიური და სოციალური მართვის შესაბამისი სისტემები, ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკისა (EBRD ESP) და

შეთანხმებული გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP-ის) შესაბამისად.

ავტობუსების დეპოს ობიექტების მშენებლობის დაწყებამდე, რომელიც არ შედის ბანკის დაფინანსების ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს შესაბამისი მიწის ნაკვეთი, რომელიც დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და სანიტარულ მოთხოვნებს და რომელიც არ მოითხოვს არც ფიზიკურ და არც ეკონომიკურ გადაადგილებას. ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების სათანადო კვლევა (ESDD) ჩაატარა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა. კვლევა მოიცავს ბორჯომის სატრანსპორტო კომპანიისა გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) აუდიტს. ბორჯომის სატრანსპორტო კომპანიისა შეინახავს და ამუშავებს მანქანებს სანამ ჩამოყალიბდება ბაკურიანის სატრანსპორტო კომპანია, მანქანების საბოლოო მფლობელი.

შეფასება ასევე მოიცავს E&S გავლენისა და პროექტთან დაკავშირებულ სარგებლიანობის ანალიზს იმისათვის, რომ ავტობუსებისა და მუნიციპალური მანქანებისთვის შემოთავაზებულმა მახასიათებლებმა დააკმაყოფილოს ევროკავშირის მოთხოვნები. პროექტს განახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF) - ბანკის გრძელვადიანი პარტნიორი მსგავს დავალებებში, წარმატების კარგი ისტორიით, რომელსაც აქვს პროექტების ევრობანკის „შესრულების მოთხოვნების“ (EBRD PRs) შესაბამისად განხორციელების გამოცდილება. MDF-ს გააჩნია საჭირო ინსტიტუციონალური შესაძლებლობები დაეხმაროს ახლადშექმნილ მუნიციპალურ კომპანიას პროექტის განხორციელებაში ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის „შესრულების მოთხოვნების“ (ESP PR) შესაბამისად.

ბანკი ხელს შეუწყობს ახლადდაარსებულ კომპანიას მრავალი TC–ის საშუალებით, რომლებიც მოიცავს, inter alia, უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემის დანერგვას, მოძრაობისა უსაფრთოხებისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის უსაფრთხოების მენეჯმენტს.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) შემუშავებულია ახლადდაარსებულ კომპანიასა და პროექტზე კონცენტრირებისათვის. ESAP მოიცავს მრავალ რეკომენდაციას, რომელიც გაკეთებულია ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოპერატიული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ასევე გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ასპექტებს, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მართვის სისტემების ISO 14001 და 45001 სტანდარტებთან შესაბამისად განვითარებას, ყველა საჭირო E&S ნებართვისა და ავტორიზაციის მიღებას, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მონიტორინგის დანერგვას, ტრანსპორტის მოძრაობისა და მართვის უსაფრთხოების ზომების შემოღებას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნას, სოციალური და შრომის მენეჯმენტის სისტემას, რომელიც მოიცავს გასაჩივრების მექანიზმსაც, აგრეთვე დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმას. ბანკი დააკვირდება კომპანიის საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშების საშუალებით.

## ტექნიკური თანამშრომლობა

ტექნიკური თანამშრომლობის (TC) ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი დავალებების განხორციელება:

*ხელმოწერამდე*

• ტექნიკური და ეკონომიკური სათანადო შესწავლა. დავალების სავარაუდო ღირებულება 100,000 ევროა, რომელიც დაფინანსდება ბილატერალური ან მულტილატერალური დონორის, ან EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდის (SSF) მიერ.
• ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების სათანადო შესწავლა. დავალების სავარაუდო ღირებულება 75,000 ევროა, რომელიც დაფინანსდება ბილატერალური ან მულტილატერალური დონორის, ან SSF-ის მიერ.

*ხელმოწერის შემდეგ:*

• კორპორატიული განვითარების პროგრამა. დავალების სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 325,000 ევროა, რომელიც დაფინანსდება ბილატერალური ან მულტილატერალური დონორის, ან SSF-ის მიერ.
• ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად საჭირო გამოცდილება. დავალების სავარაუდო ღირებულება 75,000 ევროა, რომელიც დაფინანსდება SSF-ის მიერ (ინკლუზიური ჩარჩო).

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ზუკა გიორგაძე
zgiorgadze@mdf.org.ge
995322437001
995322437077
www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საქართველო, თბილისი, 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. #150

## დაკავშირებული მასალა

ინფორმაცია შესყიდვებთან დაკავშირებით Procurement Notice  05.07.2019

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტის შესახებ ინფორმაცია

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტის შეფასებასთან დაკავშირებით EBRD-ის მიდგომაზე დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია აქ.

## ბიზნესის შესაძლებლობები

ბიზნესის შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კლიენტ კომპანიას.

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რაც არ ეხება შესყიდვებს, გთხოვთ, ისარგებლოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციით: +44 20 7338 7168 ან

ელ-ფოსტა: projectenquiries@ebrd.com
სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს: +44 20 7338 6794
ელ-ფოსტა: procurement@ebrd.com

## ზოგადი საკითხები

სხვა საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული შეკითხვების დასმა შესაძლებელია EBRD-ის მოთხოვნების ფორმის საშუალებით.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოსთვის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და შესრულების მოთხოვნები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომელთა ფარგლებშიც კლიენტებმა უნდა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; შექმნან გასაჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან კლიენტის ან პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ შესრულებასთან დაკავშირებული საჩივრების მიღების და მართვის მიზნით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკების ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გამოაქვეყნონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ გამოხმაურებაზე.

დამატებითი ინფორმაცია ამ ჭრილში EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP -ში.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის შესაბამისობის მთავარი ოფიცრის ოფისის (OCCO) საქმიანობის მიზანი კარგი მმართველობის და ბანკის საქმიანობის პროცესში პატიოსნების უმაღლესი სტანდარტების შესრულების ხელშეწყობაა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება წინასწარი ტექნიკური კვლევა, რომლის მიზანიც იმაში დარწმუნებაა, რომ პროექტი არ წარმოადგენს რეპუტაციულ და პრინციპულ რისკს ბანკისთვის. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა ბანკის ტრანზაქციებში პატიოსნების სტანდარტების დასაცავად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და, ასევე, მონაწილეობას იღებს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგში.

OCCO, ასევე, პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს შესაბამისობის მთავარ ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: compliance@ebrd.com. OCCO დაიწყებს მოკვლევას თითოეულ ანგარიშზე. განიხილება თითოეული, მათ შორის, ანონიმური წერილი. წერილი შეიძლება დაიწეროს EBRD-ის ნებისმიერ სამუშაო ენაზე ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც EBRD საქმიანობს. ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს EBRD-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას. ეწვიეთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

თუ გარემოს დაცვით, სოციალურ ან საჯაროდ გამოქვეყნების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის ფარგლებში საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და

ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის ანგარიშვალდებულების მექანიზმს.

პროექტის ანგარიშვალდებულების მექანიზმი დამოუკიდებლად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს (ან შესაძლოა გამოიწვიონ) ზიანი. მექანიზმის მიზანია - ხელი შეუწყოს დიალოგს პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროდ გამოქვეყნების საკითხების გადასაჭრელად; დაადგინოს შეასრულა თუ არა ბანკმა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა ან ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული დებულებები; საჭიროების შემთხვევაში, გადაჭრას ხსენებული პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობა და თავიდან აიცილოს ბანკის შემდგომი პოტენციური შეუსაბამობები.

იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა შეიტანოთ საჩივარი კონფიდენციური ონლაინ ფორმის საშუალებით, ელ-ფოსტით, ფოსტით ან ტელეფონით, ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს. ჩვენ განვიხილავთ თქვენ მიერ წამოჭრილ საკითხებს და ვუპასუხებთ შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება გქონდეთ საჩივრების შეტანის ან განკარგვის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩლეების ვინაობის ანონიმურობა დაცული იქნება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2020 წელს, მექანიზმის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ, ამოქმედდება პროექტის ანგარიშვალდებულების განახლებული პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს საქმის წარმოების პროცესს.